

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია "კრისტალი" აცხადებს ვაკანსიას პოზიციაზე - **Full Stack დეველოპერი**

სამუშაო ადგილი: **თბილისის სათავო ოფისი**
განაკვეთი: **სრული**

„კრისტალი“ ქართულ ფინანსურ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც გამოირჩევა სოციალური პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების კუთხით, ამ მიმართულებებით კომპანიას თავისი საქმიანობის მანძილზე მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი აღიარება აქვს მოპოვებული. „კრისტალი“ უკვე 23 წელია წარმატებით ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, 50-მდე ფილიალის მეშვეობით მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული და განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებით, ხელს უწყობს ათასობით მომხმარებლის ეკონომიკურ განვითარებას.

„კრისტალის“ დიდი გუნდი აერთიანებს 1000-ზე მეტი ადამიანს, რომლებიც ქმნიან საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ კორპორატიულ კულტურას, რაც ნათლად გამოიხატება განვითარებაზე ორიენტირებულობაში, მეგობრული გარემოს შექმნაში, თანამშრომლებზე ზრუნვაში, გუნდურობასა და ერთმანეთის მხარდაჭერაში. სწორედ ასეთი გარემო და კოლეგიალური ურთიერთობები განაპირობებს იმას, რომ თანამშრომელთა დიდი ნაწილი უკვე მრავალი წელია კომპანიაში დასაქმებული, რაც ნათლად აისახება კომპანიის სიძლიერეზე, სტაბილურობასა და წარმატებაზე.

„კრისტალი“ გთავაზობთ:

- პიროვნულ და პროფესიულ ზრდას
- მეგობრულ და პროფესიონალურ სამუშაო გარემოს
- ჯანმრთელობის დაზღვევას
- დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობას

ძირითადი მოვალეობები:

- ვებ-ზე ორიენტირებული პროექტების შექმნა და განვითარება;
- აპლიკაციების ფუნქციონირებისასთან და სისტემის არქიტექტურასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გადაჭრა;
- აქტიური მონაწილეობის მიღება როგორც პროექტის ან/და მოდულების არქიტექტურის დაგეგმარებისას, ასევე კოდის განხილვის პროცესში.
- დეველოპმენტ სტანდარტების გამოყენებით კოდის წერა;
- დეველოპმენტ ციკლის დროს "სორს კონტროლის" ეფექტიანი გამოყენება;
- არსებული სტანდარტიზებული დეველოპმენტ მეთოდების შესაბამისად გუნდის ლიდერთან ერთად მუშაობა სხვა და სხვა პროექტებისა თუ API-ების განხორციელებაში;

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება
- 3 + წლიანი გამოცდილება პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაში
- .Net Core framework-ის მაღალ დონეზე ცოდნა
- ASP.NET MVC -ის ცოდნა
- PostgreSQL მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება
- სორს კონტროლ მუშაობის გამოცდილება (Git ან TFS).
- JavaScript, HTML, CSS მუშაობის გამოცდილება
- სასურველია Angular ფრეიმვორქთან მუშაობის გამოცდილება

აუცილებელი უნარ-ჩვევები და პიროვნული მახასიათებლები:

- ანალიტიკური, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი
- პრობლემური და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი
- შედეგებსა და დეტალებზე ორიენტირებულობა
- პასუხისმგებლიანობა და ორგანიზებულობა
- მუდმივად მზარდი და განვითარებადი

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ რეზიუმე 2021 წლის 25 ივლისის ჩათვლით შემდეგ ელ. მისამართზე: vacancy@crystal.ge და სათაურის ველში აუცილებლად მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება (*წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება*).

დაფიქსირებული განაცხადების განხილვის შედეგად შერჩეული კანდიდატები იქნებიან გამოძახებული შემდგომ ეტაპზე ვაკანსიის დასრულებიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში.

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.